წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

დააპატიმრეს და გაჩუმეს, რადგან ხმა აღიმაღლა

სონია დამანი

ტუნისი

სონია დამანი

ტუნისი

სონია დამანის უყვარს ზღვა, მეგობრებთან ერთად სანაპიროზე ყოფნა და საღამოობით ფილმების ყურება. ის ხელოვნების დიდი დამფასებელია მისი ნებისმიერი ფორმით გამოხატულებაში - იქნება ეს ფერწერა თუ გამოფენა, თეატრი თუ მუსიკა. მაგრამ სონიასთვის ყველაზე მთავარი ოჯახია, მათ შორის საყვარელი ძაღლი კარლა.

სონია ადვოკატი და მედიაკომენტატორია. მან თავისი ცხოვრება ადამიანის უფლებების დაცვას მიუძღვნა. ის იცავს ჩაგრულების უფლებებს და საფრთხის მიუხედავად, ამბობს იმას, რისი თქმისაც სხვებს ეშინიათ. სონია რასიზმის და საპატიმროებში არაადამიანური პირობების დაუღალავი კრიტიკოსია და ამ პრობლემებზე მუდმივად საუბრობს ტელევიზიასა თუ რადიოში.

2024 წლის 11 მაისს ნიღბიანი პოლიციელები ტუნისის ადვოკატთა ასოციაციაში შეიჭრნენ და სონია დააკავეს. ის მანუბას ციხეში მოათავსეს და დღემდე იქ ამყოფებენ. ტუნისის ხელისუფლებამ სონია „ყალბი ამბების გავრცელებაში“ უსაფუძვლოდ დაადანაშაულა და პატიმრობა მიუსაჯა. მის წინააღმდეგ სხვა პოლიტიკურად მოტივირებული გამოძიებებიც მიმდინარეობს. მას მრავალწლიანი პატიმრობა ემუქრება უსამართლობის დაგმობის გამო. ეს პატიმრობა მისი გაჩუმების აშკარა მცდელობაა.

სონიას არაადამიანურ პირობებში ამყოფებენ. მისი საკანი ვირთხებით არის სავსე. ციხის ხელმძღვანელობა მას სასტიკად ეპყრობა და უარს ეუბნება სათანადო სამედიცინო მომსახურებაზე, მათ შორის მისთვის აუცილებელ მედიკამენტებზე.

მოითხოვეთ სონიას გათავისუფლება ახლავე

მისწერეთ პრეზიდენტს

მოსთხოვეთ ტუნისის ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაათავისუფლოს სონია დამანი, გაუუქმოს მას სასჯელი და მოუხსნას ყველა ბრალდება, რადგან ის მხოლოდ იმიტომ არის დაპატიმრებული, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობდა.

მისამართი: President of Tunisia
Carthage Presidential Palace
La Goulette Road
Carthage Archaeological Site
Tunis
Tunisia

მისალმება: თქვენო აღმატებულებავ
EMAIL: contact@carthage.tn
FACEBOOK: www.facebook.com/Presidence.tn
X: @TnPresidency
ჰეშტეგები: #თავისუფლებასონიას, #წერილებისმარათონი25

აგრძნობინეთ სონიას, რომ ის მარტო არ არის.

გაუგზავნეთ სონიას იმედის და სოლიდარობის წერილი. უთხარით მას, რომ მხარს უჭერთ მის ბრძოლას ადამიანის უფლებებისთვის ტუნისში. წერილთან ერთად შეგიძლიათ ძაღლის სურათები გაუგზავნოთ (სონიას ჰყავს ძაღლი, სახელად კარლა).

მისამართი: Sonia Dahmani
c/o Amnesty International Tunisia
5 Rue Zouhair Ayadi
El Menzah 4
Ariana, Tunis 1082
ტუნისი

INSTAGRAM: freesoniadahmani
ჰეშტეგები: #თავისუფლებასონიას, #წერილებისმარათონი25

პირველი გვერდის ფოტო: © Private, © Getty/iStock
ბოლო გვერდის ფოტო: © Private, © Pexels

2025 წლის სექტემბერი
ინდექსი: MDE 30/9335/2025